ხელშეკრულება № 189

ქ. ბათუმი

28 ივნისი 2017 წელი

ერთის მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის რამაზ კობახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,აჭარა-ტური" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი თავართქილაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.„მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ა/წ 28 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით დაგეგმილ ევროპის საკონსტიტუციო სასამართლოების XVII კონგრესთან დაკავშირებით ჩამოსული სტუმრებისთვის ტრანსპორტით გადაადგილების მომსახურების გაწევის სახელმწიფო შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად (CPV 60172000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 6350,00 (ექვსიათას სამას ორმოცდაათი) ლარს.
3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება შემსყიდველის 2017 წლის საბიუჯეტო სახსრებით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ მისი ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (ზედნადები, ანგარიშფაქტურა) წარმოდგენიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადები

5.1.მომსახურების გაწევის ადგილია დანართი N1-ით გათვალისწინებული ადგილები.
5.2. მომსახურების გაწევის ვადაა 2017 წლის 28 ივნისიდან - 02 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლი და ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურის სამსახურის უფროსი - ბექა ფურცხვანიძე და საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს მთავარი მრჩეველი - ეკატერინე მჟავანაძე.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის (ფასის) კონტროლს.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. მხარე ვალდებულია 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
13.4 დანართი N1 თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველის რეკვიზიტები:

სახელწოდება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 8-10
საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840175
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022
ტელეფონის ნომერი: 27 66 49

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი: რამაზ კობახიძე

მიმწოდებლის რეკვიზიტები:

იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს ,,აჭარა-ტური"
იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N32/48
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 549 027
მომსახურე ბანკის დასახელება: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE36 TB10 4223 6020 1000 02
ტელეფონის ნომერი: 591 99 43 66; 593 35 17 33

შპს ,,აჭარა-ტურის" დირექტორი: ირაკლი თავართქილაძე

28 ივნისი შპს „აჭარა-ტური“ დანართი N1

ოპერაციის დასახელება	ტრანსპორტი	ზომის ერთეული	ერთეულის ღირებულება	საერთო თანხა
ტრანსფერი: ბათუმის აეროპორტი - შერატონი 28-06-2017	7 სპრინტერი (გამცილებლები)	მომსახურება	150,0	1050,0
ტრანსფერი: თბილისი-ბათუმი - თბილისი 28-06-2017 30-06-2017	1 მინივენი	მომსახურება	700,0	700,0
ტრანსფერი: თბილისის აეროპორტი-ბათუმი შერატონი 28-06-2017	1 მინივენი	მომსახურება	350,0	350,0
ტრანსფერი: თბილისი-ბათუმი პრეზიდენტ პლაზა-თბილისი 28-06-2017 30-06-2017	1 ავტობუსი	მომსახურება	1400,0	1400,0
ტრანსფერი: სასტუმრო შერატონი-პიაცა-სასტუმრო შერატონი 29-06-2017	11 სპრინტერი	მომსახურება	150,0	1650,0
ტრანსფერი: სასტუმრო შერატონი-აეროპორტი 01-07-2017	2 სპრინტერი (გამცილებლები)	მომსახურება	150,0	300,0
ტრანსფერი: სასტუმრო შერატონი-აეროპორტი 01-07-2017 02-07-2017	6 სპრინტერი (გამცილებლები)	მომსახურება	150,0	900,0
ჯამი:				6350,00

შპს „აჭარა-ტურის“ დირექტორი: ირაკლი თავართქილაძე